საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №01-11/14

ქ. ბათუმი 18 01 2019 წ.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს "უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონფერენციის ორგანიზებისა და სეზონური სკოლის მოწყობის მიზნით რიგი პირობებისა და საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 24 იანვრის 01-11/15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული "უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამას (050404), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია კონფერენციის ორგანიზება, სეზონური სკოლის მოწყობა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძის 2019 წლის 16 იანვრის N34915 მოხსენებითი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 24 იანვრის №01-11/15 ბრძანების მესამე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონფერენციის ორგანიზებისა და სეზონური სკოლის მოწყობის მიზნით, განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 21 იანვრიდან 12 აპრილის ჩათვლით პერიოდი".

2. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ინგა შამილიშვილი
მინისტრი